F 133
1937

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის
მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1937 წ. ოქტომბრის 25. № 16 თბილისი.

შ ი ნ ა ა რ ს ი

მიწის, წყლის და ტყის მეურნეობა.

სოფლის მეურნეობა

114. საქ. სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატთან მატერიალურ—ტექნიკური მომარაგების კონტორის ჩამოყალიბების შესახებ.

ვაჭრობა. მომარაგება

115. კოლმეურნეობებთან და კოლმეურნეებთან საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის ხე-ტყის დამამზადებელ ორგანიზაციათა ურთიერთობის შესახებ.

116. აგურისა და კირის ფართო მოხმარების საგასაცემო ფასების შემცირების შესახებ.

ტრანსპორტი

117. არაპირდაპირი დანიშნულებისამებრ სატვირთო ავტომანქანების გამოყენების აკრძალვის შესახებ.

კომუნალური და საბინაო მეურნეობა

118. წყალსადენებისა და წყლის მიწოდების წყაროების სანიტარული დაცვის შესახებ.

შ რ ო მ ა

119. საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატებთან ქვაბზედამხედველობის ინსპექციათა ტიპიური დებულების დამტკიცების შესახებ.

ტიპიური დებულება საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატებთან არსებული ქვაბზედამხედველობის ინსპექციათა შესახებ.

სისხლის სამართალი

120. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 28 მუხლის პირველი ნაწილის შეცვლის შესახებ.

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიწის, წყლის, და ტყის მეურნეობა.

სოფლის მეურნეობა

114. დადგენილება ს. კ. ს.

საქ. სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატთან მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების კონტორის ჩამოყალიბების შესახებ.

საქ. სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს საქ. სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისრის ბრძანება საქ. სსრ სატყეო კომისარიატის სისტემაში მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სამეურნეო ანგარიშზე მყოფი, კონტორის ჩამოყალიბების შესახებ. დაევალოს ამ კონტორას საქ. სსრ სატყეო მრეწველობის მომარაგება მოწყობილობით და ტექნიკურ-დამხმარე მასალებით.

2. წინადადება მიეცეს სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარს ერთი დეკადის ვადაში დაამტკიცოს აღნიშნული კონტორის დებულება.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ვ. ბუჯიაშვილი.**

1937 წ. სექტემბრის 4. № 902.
თბილისი.

ვაჭრობა. მომარაგება

115. დადგენილება ს. კ. ს.

კოლმეურნეობებთან და კოლმეურნეებთან საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის ხე-ტყის დამამზადებელ ორგანიზაციათა ურთიერთობის შესახებ.

„კოლმეურნეობებთან და კოლმეურნეებთან ხე-ტყის დამამზადებელ ორგანიზაციათა ურთიერთობის შესახებ“, გამოცემული სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1937 წ. 16 თებერვლის დადგენილების (სსრკ კან. კრ. 1937 წ. № 19, მუხ. 46) შესაბამისად საქართველოს სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს სახელმწიფო რაიონობრივი დავალება ხე-ტყის გამოზიდვისა და ხე-ტყის დაცურების დარგში 1938 წლისათვის საქართველოს სსრ ცალკეული რაიონების მიხედვით შემდეგი სახით (მკვრივი მასის კუბომეტრობით):

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიონების დასახელება.	მკვრივი მასის მიტანა.	მკვრივი მასის გამოტანა.	გადმოტვირთვა დაცურების შემდეგ.	საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის ხე-ტყის დამამზადებელი ორგანიზაციები
თელავის	15000	—	—	კახეთის სატყეო სამრეწველო მეურნეობა
გურჯაანის	2500	—	—	„
ყვარლის	2500	—	—	„
ლაგოდეხის	2250	—	—	„
ბორჩალოს	100	—	—	თბილისის სატყეო სამრეწვ. მეურნეობა
საგარეჯოს	600 საქმ.	8000 მერ.	29000 მერ.	
თიანეთის	2200 „	22000 „	—	„
ალბულახის	100 „	—	—	„
თბილისის რაიონის . .	600 „	—	—	„
ჯავის	9650 „	—	—	„
ხაშურის	8750 „	—	—	ჯალაბეთის სატყეო კომბინატი.
გორის	1000 „	—	—	ხაშურის სატყეო მეურნეობა.
				ხაშურის სატყეო მეურნეობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიონების დასახელება.	მკვრივი მასის მიტანა.	მკვრივი მასის გამოტანა.	გადმოტვირთვა დაცურების შემდეგ	საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის ხე-ტყის დამამზადებელი ორგანიზაციები
ბორჯომის	18000 საქ.	—	—	ბორჯომის სატყეო მეურნ.
ხარაგოულის	3000 „	2200 საქ.	—	ხარაგოულის „ „
ჭიათურის	—	3000 „	—	ჭიათურის „ „
ლანჩხუთის	8000 „	—	—	კოლხიდის „ „
ცხაკაიას	25000 „	—	—	„ „ „
ფოთის	17000 „	—	—	„ „ „
ხობის	3500 „	—	—	„ „ „
ხობის	5000 „	—	—	ხეთის მექან. ხე-ტყის ქარხანა.
	40000 მერ.	—	—	
ზუგდიდის	10000 საქ.	—	—	ხეთის მექან. ქარხანა.
	5300 მერ.	—	—	„ „ „
ზუგდიდის	10600 საქ.	—	—	ზუგდიდის სატყეო მეურნ.
აფხაზეთის ასსრ	7500 მერ.	—	—	აფხაზეთის „ „
აჭარის ასსრ	2000 საქ.	1200 მერ.	—	აჭარის სატყეო მეურნ.
ბაღდადის	4000 „	„	—	მარელისის ავეჯის ფაბრიკა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. წინადადება მიეცეს აფხაზეთის და აჭარის ასსრ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს და პირველ პუნქტში აღნიშნულ რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტებს სახელმწიფო რაიონობრივი დავალება ხე-ტყის გამოზიდვისა და ხე-ტყის დაცურების დარგში 1938 წლისათვის გაანაწილონ სათანადო საოფლო საბჭოებისა და კოლმეურნეობების მიხედვით სატყეო-სამრეწველო მეურნეობათა, სატყეო მეურნეობათა და სატყეო კომბინატთა ორმხრივი ხელშეკრულებების დასადებად კოლმეურნეობებთან და ინდივიდუალური შრომითი შეთანხმებების დასადებად კოლმეურნეებთან, რათა უზრუნველყოფილ იქნან სატყეო საწარმოები მუშა და საჭაპანო ძალის საჭირო რაოდენობით ხე-ტყის დამზადებისა, გამოზიდვისა და დაცურებისათვის.

3. წინადადება მიეცეს სატყეო-სამრეწველო მეურნეობების, სატყეო მეურნეობების და სატყეო კომბინატების დირექტორებს დაუყოვნებლივ შეუდგნენ ხელშეკრულებათა დადებას კოლმეურნეობებთან, კოლმეურნეებთან და ერთპიროვნულ მეურნეებთან, რათა მიზიდულ იქნას მუშა და საჭაპანო ძალა ხე-ტყის დამზადების, გამოზიდვის, მიტანის და დაცურების სამუშაოებისათვის, პირველ პუნქტში აღნიშნული რაიონობრივი განაწილების შესაბამისად.

4. ხე-ტყის დამამზადებელ ორგანიზაციებსა და კოლმეურნეობებს შორის დადებულ ხელშეკრულებებში გათვალისწინებულ იქნას: სამუშაოთა სახეები, მოცულობა და ადგილი, იმ კოლმეურნეობათა რაოდენობა, რომლებსაც გამოჰყოფენ ხე-ტყის დამზადებისა და დაცურებისათვის, იმ საჭაპანო ძალის რაოდენობა, რომელსაც კოლმეურნეობა გამოჰყოფს ხე-ტყის გამოზიდვისა და სხვა სამუშაოებისათვის, საჭაპანო ძალის მუშაობისათვის კოლმეურნეობათა ანაზღაურების ოდენობა და პირობები, საჭაპანო ძალის შენახვის პირობები სატყეო-სამრეწველო მეურნეობებში სამუშაოდ ყოფნის დროს, ხელშეკრულებათა შესრულების კალენდარული ვადები, კოლმეურნეობებთან და კოლმეურნეებთან ანგარიშსწორების წესი, ორივე მხარის პასუხისმგებლობა ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის.

5. ხე-ტყის დამზადებასა და დაცურებაზე საჭაპანო ძალის მუშაობისათვის ანარიცხი კოლმეურნეობებისათვის (საკოლმეურნეო ინვენტარის შენახვისა და გაცვეთისათვის) დაწესდეს მზიდავისა და საჭაპანო ძალის მთელი ხელფასის 50% რაოდენობით. ნორმის გადაჭარბებით შესრულებისათვის დარიცხული პროგრესიული დანამატი განაწილდება: მზიდავს—60% და კოლმეურნეობას საჭაპანო ძალის შესანახად—40%

6. კოლმეურნეებთან დადებულ ინდივიდუალურ შრომითს შეთანხმებებში გათვალისწინებულ იქნას: მუშაობის მოცულობა, ადგილი და წესი, მუშაობის კალენდარული გეგმა, კოლმეურნეთა მიერ სამუშაოს შესრულების ტექნიკური პირობები, სამუშაოდ მიცემული ინსტრუმენტი, გამომუშავების ნორმები, შეფასებანი, ხელფასის ანაზღაურების სისტემა და ვადები, შესრულებულ სამუშაოთა მიღების წესი და ვადები, საბინაო და კულტსაყოფაცხოვრებო პირობები, რომლებსაც უზრუნველყოფენ სატყეო სამრეწველო მეურნეობანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. გაუქმდეს ცალკეულ რაიონებში ამჟამად მომქმედი სისტემა, რომლის მიხედვითაც კოლმეურნეთა ხელფასი ეძლევა კოლმეურნეობას, ხოლო ტყის მჭრელებსა და მზიდავებს ტყეში მუშაობისათვის კოლმეურნეობა უხდის შრომადღეებით.

დაწესდეს, რომ ხელფასი უნდა მისცენ სატყეო-სამრეწველო მეურნეობებმა, ანახმად დადებული ხელშეკრულებებისა, თვითეულ ცალკე კოლმეურნეს, რომელიც მუშაობს ხე-ტყის დამზადებასა და დაცურებაზე.

საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის საწარმოებმა, დადებულ ხელშეკრულებათა შესაბამისად, ანარიცხები საჭაპანო ძალის მუშაობისათვის გადარიცხონ უშუალოდ კოლმეურნეობათა საანგარიშსწორებო ანგარიშებზე.

8. ამ დადგენილების 1-ლ პუნქტში მოხსენებულ რაიალმასკომების თავმჯდომარეებმა და საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის აღნიშნულ საწარმოთა დირექტორებმა ორმხრივ ხელშეკრულებათა დადება კოლმეურნეობებთან და ინდივიდუალურ შეთანხმებათა დადება კოლმეურნეებთან 1938 წლისთვის დაამთავრონ 1937 წლის 15 ოქტომბრისათვის.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ვ. ბუჯიაშვილი.**

1937 წ. ოქტომბრის 2. № 1019.
თბილისი.

---

116. დადგენილება ს. კ. ს.

აგურისა და კირის ფართო მოხმარების საგასაცემო ფასების შემცირების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. რაიალმასკომებისადმი დაქვემდებარებულ საშენ მასალათა და სარეწაო კოოპერაციის სისტემის საწარმოებში შემცირდეს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1936 წ. 3 მაისის № 460 დადგენილებით „ადგილობრივი საშენი მასალის საგასაცემო ფასების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1936 წ. № 19, მუხ. 115) დაწესებული სამშენებლო აგურისა და კირის საგასაცემო ფასები ფართო ბაზრისათვის, ამასთან დაწესდეს ცალკეული საწარმოების მიხედვით ფართო მოხმარების შემდეგი საგასაცემო ფასები:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა. აგურის ქარხნებში:

1) თბილისის საქალაქო საბჭოს ქარხნები . . . . . 100 მ. ათას ცალში

2) რაიონული აღმასრულებელი კომიტეტების ქარხნები:

ლანჩხუთის, ზუგდიდის, გურჯაანის, სამტრედიის, ხაშურის, მახარაძის, ზესტაფონის, ფოთის, ბორჯომის, ხონის, ვანის, წალენჯიხის, ყარაიას, ტყიბულის, თელავის, ლუქსემბურგის, ხობის, აბაშის, ბაღდათის, წნორის, ამბროლაურის, ჩოხატაურის, ჩხარის, მარტვილის, ახალციხის, ყვარლის, ლაგოდეხის . . . . . 130 მ. ათას ცალში

3) აფხაზეთის ასსრ ქარხნები . . . . . 130 მ. „

4) ცხინვალის ქარხანა . . . . . 130 მ. „

5) სარეწაო კოოპერაციის საწარმოები . . . . . 130 მ. „

ბ. კირის ქარხნები

ადგილობრივი ქვემდებარეობის მრეწვ. საწარმოები . . . 60 მან. ტონაში

სარეწაო კოოპერაციის „ . . . . . 60 მან. „

მოხლების კირის ქარხანა (სამხრეთ-ოსეთი) . . . . . 95 მან. „

აფხაზეთის ასსრ კირის ქარხანა . . . . . 60 მან. „

2. ფასების შემცირება გატარდეს 1937 წლის 1 ნოემბრიდან.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ საქმეთა მმართველი **ვ. ბუჯიაშვილი.**

1937 წ. ოქტომბრის 17. № 1106.
თბილისი.

ტრანსპორტი

117. დადგენილება ს. კ. ს.

არაპირდაპირი დანიშნულებისამებრ სატვირთო ავტომანქანების გამოყენების აკრძალვის შესახებ.

მიუხედავად ავტომოწყობილობის ნაკლებობისა და ამასთან დაკავშირებით დაძაბული მდგომარეობისა სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციათა საშენი მასალების და სხვა ტვირთის გადაზიდვის დარგში არის მრავალი ფაქტი, სატვირთო ავტომანქანების გამოყენებისა ხალხის გადასაყვანად, განსაკუთრებით გამოსასვლელ დღეებსა და გამოსასვლელის წინა დღეებში, როდესაც ათობით სატვირთო ავტომანქანებს იყენებენ ექსკურსანტებისა და მგზავრების გადასაყვანად და მოქალაქეთა პირადი ტვირთის გადასაზიდად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ მიზნით, რათა სატვირთო ავტომანქანები გამოყენებულ იქნან პირველ დაპირი დანიშნულებისამებრ სახელმწიფო, კოოპერატიული და სხვა ორგანიზაციების ტვირთის გადასაზიდად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. აეკრძალოს ყველა ორგანიზაციას და დაწესებულებას, რომელთაც აქვთ ავტოტრანსპორტი, სატვირთო ავტომანქანების გამოყენება, ექსკურსანტთა, მგზავრთა გადასაყვანად და მოქალაქეთა პირადი ტვირთის გადასაზიდად.

2. დაევალოს ორგანიზაციებისა და დაწესებულებათა ხელმძღვანელებს, მათი პირადი პასუხისმგებლობით, მოაწყონ სატვირთო ავტომანქანების რაციონალურად გამოყენება სახელმწიფო, კოოპერატიული და სხვა ორგანიზაციების, აგრეთვე მუშათა საწარმოების ტვირთის გადასაზიდად, როდესაც ამას წარმოების ინტერესები მოითხოვს.

3. დაევალოს საქართველოს სსრ მუშურ-გლეხურ მილიციის ორგანოებს თვალყური ადევნონ დადგენილების შესრულებას და პასუხისგებაში მისცენ იმ ორგანიზაციათა ხელმძღვანელები, რომელნიც დაარღვევენ სატვირთო ავტომანქანების გამოყენების დადგენილ წესს.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **ვ. ბუჯიაშვილი.**

1937 წ. აგვისტოს 17.
თბილისი.

კომუნალური და საბინაო მეურნეობა

118. დადგენილება ს.კ.ს.

წყალსადენებისა და წყლის მიწოდების წყაროების სანიტარული დაცვის შესახებ.

„წყალსადენებისა და წყლის მიწოდების წყაროების სანიტარული დაცვის შესახებ“ გამოცემული სსრ კავშირის ც.ა.კ-ის და ს.კ.ს-ოს 1937 წ. 17 მაისის დადგენილების შესაბამისად (სსრ კან. კრ. 1937 წ. № 35, მუხ. 143) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დაწესდეს, რომ წყლის მიწოდების წყაროების სანიტარული დაცვის ზონა და მისი განაწილება ზოლებად განისაზღვრება ყოველ დასახლებულ პუნქტში სათანადო ადგილობრივი საბჭოს გადაწყვეტილებით, რასაც დაამტკიცებენ:

ა) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო—ქ. თბილისის, ქუთაისის, ფოთის, ბორჯომის, აბასთუმნის, წყალტუბოს, ბათუმის, სოხუმის და გაგრისათვის, აგრეთვე ყველა იმ საქალაქო და რაიონული ცენტრისათვის, სადაც მდებარეობენ მსხვილი სამრეწველო საწარმოები და საბჭოთა მეურნეობები;

ბ) ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტები—აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის დასახლებული პუნქტებისათვის;

გ) რაიონული აღმასრულებელი კომიტეტები—საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის დასკვნით—ყველა სასოფლო ადგილისათვის.

2. წინადადება მიეცეს თბილისის ქალაქის საბჭოს ერთი დეკადის ვადაში წარმოუდგინოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დასამტკიცებლად თბილისის ქალაქის საბჭოს მიერ დაწესებული ზონა ნატახტარის წყალსადენის სანიტარული დაცვისა, ზონის საზღვრების აღნიშვნით რუკაზე, ამასთან ზონა განაწილდეს 3 ზოლად და აღინიშნოს პირველადი ზოლის ნატურაში გაკეთებული ნაჭდევები სათანადო ნიშნებით (ბოძები წარწერით და ა. შ.).

3. დაევალოს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მთავარ სახელმწიფო სანიტარულ ინსპექციასთან ერთად ტექნიკური დახმარება გაუწიონ ქალაქის და რაიონულ საბჭოებს იმ მხრით, რომ დააწესონ სასანიტარო დაცვის ზონები მომქმედ წყალსადენებზე საქართველოს ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში, ამასთან თვალყური ადევნონ, რომ აღნიშნულ საბჭოებმა სწორად დააწესონ სანიტარული ზონები და დასამტკიცებლად წარმოუდგინონ ისინი საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 3 თვის ვადის განმავლობაში.

4. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს შეიმუშაოს სანიტარულ—გამაჯანსაღებელი ღონისძიებანი, რომლებიც სავალდებულოა გასატარებლად წყლის მიწოდების წყაროების სანიტარული დაცვის ზონის ფარგლებში და თვალყური ადევნოს, რომ ეს ღონისძიებანი მიიღონ და გაატარონ ცხოვრებაში ადგილობრივმა საბჭოებმა.

5. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს ქალაქის საბჭოებთან ერთად დააწესოს და წარმოუდგინოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს სია მომქმედი საწარმოებისა და დაწესებულებებისა, რომლებიც უშვებენ ჯანმრთელობისათვის მავნებელ და გაბინძურებულ ჩამდინარე წყლებს და არ არიან უზრუნველყოფილი ამ წყლების გაშვებით საერთო კანალიზაციაში ან მათი წინასწარი გაწმენდით, და რომლებიც ვალდებული არიან 6 წლის განმავლობაში (1937 წლიდან 1942 წლამდე) შეუერთდნენ საერთო კანალიზაციას ან მოაწყონ საკუთარი საწმენდი ნაგებობანი.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ვ. ბუჯიაშვილი.**

1937 წ. ოქტომბრის 17. № 1109.
თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲨᲠᲝᲛᲐ

119. ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ Ს. Კ. Ს.

საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატებთან ქვაბზედამხედველობის ინსპექციათა ტიპიური დებულების დამტკიცების შესახებ.

„ორთქლის ქვაბების, ჭურჭლების წნევის ქვეშ, ბალონებისა და ამწე ნაგებობათა ზედამხედველობის შესახებ“ გამოცემული სსრ კავშირის ს.კ.ს-ოს 22 აპრილს დადგენილების შესაბამისად (სსრკ. კან. კრ. 1937 წ. № 26, მუხ. 108) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატებთან ქვაბზედამხედველობის ინსპექციათა ტიპიური დებულება.

2. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატებს და ცენტრალურ დაწესებულებებს, რომლებსაც თავიანთ გამგებლობაში აქვთ ორთქლის ქვაბები, ჭურჭლები წნევის ქვეშ, ბალონები და ამწე ნაგებობანი, შეიმუშაონ, საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატებთან არსებულ ქვაბზედამხვედველობის ინსპექციათა ტიპიურ დებულებასთან შეფარდებით, და დაამტკიცონ დებულებანი ქვაბზედამხედველობის მათდამი დაქვემდებარებული ინსპექციების შესახებ.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ვ. ბუჯიაშვილი.**

1937 წ. ოქტომბრის 17. № 1116.
თბილისი.

ᲢᲘ�პᲘᲣᲠᲘ ᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატებთან არსებული ქვაბზედამხედველობის ინსპექციათა შესახებ.

1. იმ მიზნით, რათა განხორციელდეს მეთვალყურეობა ორთქლის ქვაბებსა, წნევის ქვეშ ჭურჭლებსა, ბალონებსა და ამწე ნაგებობებზე (ლიფტები და ამწე-ონკანები), რომლებიც საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატთა გამგებლობაში იმყოფებიან, საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატებთან ეწყობა ქვაბზედამხედველობის ინსპექციები.

2. ინსპექციისადმი ხელმძღვანელობას ანხორციელებს უფროსი ინსპექტორი. ქვაბზედამხედველობის განსახორციელებლად ადგილებზე ინიშნებიან ინსპექტორები, რომელთა რიცხვი განისაზღვრება იმ ორთქლის ქვაბებისა და დანარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩენი აგრეგატების რაოდენობის მიხედვით, რომლებსაც მეთვალყურეობა უნდა გაუწიოს ინსპექციამ. ქვაბზედამხედველობის ყველა ინსპექტორს დანიშნავს და სამსახურიდან დაითხოვს სახალხო კომისარი, ამასთან ისინი ტერიტორიალურად განაწილდებიან ქვაბზედამხედველობის ობიექტთა კონცენტრაციის მიხედვით. ქვაბზედამხედველობის ინსპექცია უშუალოდ ემორჩილება სათანადო სახალხო კომისარს.

3. ქვაბზედამხედველობის ინსპექცია ასრულებს შემდეგ ფუნქციებს:

ა) იძლევა ორთქლის ქვაბების, წნევის ქვეშ ჭურჭლების, ბალონებისა და ამწე ნაგებობების (ლიფტები და ამწე ონკანები) დადგმის, გადაკეთების და მუშაობის ნებართვას და აწარმოებს მათ აღრიცხვას, თანახმად არსებული წესებისა:

ბ) ახდენს ქვაბზედამხედველობის ობიექტების შემოწმებას და გამოცდას, აკრავს მათზე დადგენილი ფორმის დამღას, ამოწმებს აგრეგატის მომსახურე პერსონალის პირად შემადგენლობას და აწესებს სწორ რეჟიმს, რომელიც უზრუნველყოფს მუშაობის უშიშროებას და უბედური შემთხვევების თავიდან აცილებას;

შენიშვნა 1. ქვაბის ან წნევის ქვეშ ჭურჭლის სერიოზული დეფექტების (პრწყალის, გახეთქილი ადგილის, დიდი გაცვეთის და სხვ.) აღმოჩენის შემთხვევაში, ქვაბზედამხედველობის ინსპექცია წარმოების ადმინისტრაციას მოსთხოვს მოახდინოს მექანიკური, ლაბორატორული და მეტალოგრაფიული გამოცდა, გამოცდის შედეგების წარმოდგენით; ამასთან ინსპექცია მიუთითებს იმ ადგილებს, საიდანაც უნდა იქნას აღებული ნიმუშები გამოცდისათვის და ამოჭრილ ნაწილს დალუქავს ქვაბზედამხედველობის ინსპექციის ბეჭდით;

შენიშვნა 2. ქვაბის ან რომელიმე სხვა აგრეგატის საშიში მდგომარეობის აღმოჩენისას, რაც ემუქრება მშრომელთა ჯანმრთელობას, ქვაბზედამხედველობის ინსპექცია შეაჩერებს ქვაბის მუშაობას მანამ, ვიდრე მოხდებოდეს მისი რემონტი ტექნიკური უშიშროების წესებთან შეფარდებით, რასაც დაუყოვნებლივ მოახსენებს დეპეშით ქვაბზედამხედველობის უფროს ინსპექტორს და შეადგენს სათანადო აქტს;

გ) მონაწილეობას ღებულობს მომსახურე პერსონალის (ცეცხლფარეშები, შექვაბეები და ელექტრო და გაზშემდუღებლები და სხვ.) გამომცდელ კომისიაში მათ დასაშვებად პასუხს აგებს სამუშაოებზე;

დ) დახმარებას უწევს კურსების მოწყობას ცეცხლფარეშებისა, მექვაბეებისა და ინსტრუქტორებისათვის, აქტიურ მონაწილეობას ღებულობს კურსების მუშაობაში და ესწრება სათანადო გამოცდების ჩატარებას;

ე) ამოწმებს და აღრიცხავს ყველა საქვაბო წიგნს და წნევის ქვეშ ჭურჭლების და ამწე ნაგებობათა წიგნებს;

ვ) არკვევს ქვაბის ან სხვა რომელიმე აგრეგატის აფეთქების მიზეზებს და ღებულობს ზომებს მისი განმეორების თავიდან ასაცილებლად;

ზ) ადგენს მუშაობის წლიურ და კვარტალურ გეგმას, აგრეთვე ჩატარებული მუშაობის ანგარიშებს და დასამტკიცებლად წარუდგენს მათ სახალხო კომისარს.

4. ქვაბზედამხედველობის ინსპექტორებს ეძლევათ მოწმობები სახალხო კომისრის ხელმოწერით.

5. ქვაბზედამხედველობის ინსპექტორებს უფლება აქვთ უშუალოდ მივიდნენ ყოველ დროს ქვაბზედამხედველობის ყოველგვარ ობიექტთან.

6. ქალაქის ცენტრების გარეთ მდებარე საწარმოები ვალდებული არიან მიაწოდონ ქვაბზედამხედველობის ინსპექტორებს:

ა) მიმოსვლის საშუალებანი რკინისგზის უახლოესი სადგურებიდან ან ნავსადგურიდან საწარმომდე, თუ ეს მანძილი აღემატება ერთ კილომეტრს;

ბ) სადგომი სამსახურებრივი მუშაობისათვის, ხოლო საჭიროების შემთხვევაში — დასასვენებლად და ღამის გასათევადაც.

7. ქვაბზედამხედველობის ობიექტის ყოველი ავარიის შესახებ, თუ მას თან სდევდა უბედური შემთხვევები ან მნიშვნელოვანი ზარალი, საწარმო ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს დეპეშით ქვაბზედამხედველობის ინსპექციას.

8. თუ ავარიას მოჰყვა უბედური შემთხვევები, ქვაბზედამხედველობის ინსპექტორი ვალდებულია დაუყოვნებლივ გაემგზავროს ადგილზე საქმის გამოსაძიებლად.

გამოძიების მასალები [დაუყოვნებლივ წარედგინება ქვაბზედამხედველობის უფროს ინსპექტორს.

9. თავის მუშაობაში ინსპექცია ხელმძღვანელობს არსებული დებულებით, სპეციალური კანონებით, აგრეთვე მომქმედი წესებითა და ინსტრუქციებით.

10. ქვაბზედამხედველობის ინსპექციას მიკუთვნებული აქვს ბეჭედი, რომელზედაც გამოხატულია ღერბი და ლითონის ასოები დამღის დასადებად სათანადო სახალხო კომისარიატის დასახელების გამოხატულებით.

11. ორთქლის ქვაბების, წნევის ქვეშ ჭურჭლების, ბალონებისა და ამწე ნაგებობათა მუშაობის წესების დარღვევის ყველა შემთხვევაში, როდესაც მომქმედი კანონმდებლობით დაწესებულია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ამ დარღვევებისათვის, ინსპექცია ვალდებულია აცნობოს პროკურატურის ორგანოებს.

სისხლის სამართალი

120. დადგენილება ც. ა. კ.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 28 მუხლის პირველი ნაწილის შეცვლის შესახებ.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1937 წლის 2 ოქტომბრის დადგენილების საფუძველზე (სსრკ კან. კრ. 1937 წ № 66, 297), სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 28 მუხლის პირველი ნაწილი მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„ 28 (ნაწილი 1) თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში მოთავსებით სსრ კავშირის შორეულ ადგილას დაიდება ვადით სამი წლიდან ათ წლამდე, ხოლო საქ. სსრ სისხლის სამართ. კოდექსის 58^6, 58^7 და 58^9 მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულების გამო—ოცდახუთ წლამდე.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივნის მ. ა. **გ. გოჩაშვილი.**

1937 წ. ოქტომბრის 10.
ქ. თბილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 234 №-ში 1937 წ. ოქტომბრის 12.

ფასი 25 კაპ.

გამომცემელი საქ. სსრ ხ. კ. ხ-ოს / საქმ. მმართველობა 1937 წ. № 31. პ/მ. **რედაქტორი ი. შელეგია**

ქაღალდის ფორმატი 62×94 სმ; 7/8 ბეჭდვ. ფურც.; 1 ბეჭდვ. ფურც. 48.500 სტამბ. ნიშანი
გადაეცა სტამბას 29/X; ხელმოწერილია დასაბეჭდად 16/XI. ტირაჟი 2.000.

მთავლ. რწმ. № 16987 საქ. სახ. კომ. საბჭოს საქმ. მმართ. სტამბა, თბილისი. № დაკვ. 1356.